ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4131105

ნომერი: AR1624005

თარიღი : 20.08.2018

გაცემის თარიღი : 29.08.2018

გაცნობის თარიღი : 30.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯანაშია , N12/16 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხორავა , N14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ორგანიზაცია:

- შპს,,მალუჯი" კოდი: 202451630

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის –არსებულ შენობაზე საჩრდილობლების მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2018 წლის 20 აგვისტოს AR1624005 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ჯანაშიას ქ. N12/16; ხორავას ქ. N14-ში, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში, მოქ. მოქ. თინათინ არავიაშვილის, ნათია ჭელიძის, ლაშა თაბაგარისა და რევაზ გვასალიას კუთვნილ ფართებზე საჩრდილობლების მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განხორციელების შესაძლებლობას სამსახური ადასტურებს წერილობით.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (სარეთო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N 892018158780, 23.02.2018წ. საკადასტრო კოდი N 01.15.02.023.016; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ჯანაშია 2014“-ის 2018 წლის 17 აგისტოს კრების ოქმი (სანოტარო მოქმედების რეგიატრციის N180985819, 17.08.2018წ.); არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ჯანაშიას ქ. N12/16; ხორავას ქ. N14-ში, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში, მოქ. მოქ. თინათინ არავიაშვილის, ნათია ჭელიძის, ლაშა თაბაგარისა და რევაზ გვასალიას კუთვნილ ფართებზე საჩრდილობლების მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული შეთანხმდეს ფართების მესაკუთრეებთან.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge